

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 2

ზოგადი ნაწილი

1. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა
2. განგრძობადი დანაშაული
3. ამსრულებლის ექსცესი
4. სასჯელი
 - სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების წესი
 - სასჯელის დანიშვნა დანაშაულის თანამსრულებლობისათვის
 - სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა
 - სასჯელის შემსუბუქება
 - ჯარიმის დაკისრება არასრულწლოვანის მშობლებისათვის

1. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

განჩინება

#1007-აპ-09

29 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ კ. ს-სა და მსჯავრდებულ თ. ჩ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. ა-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით:

თ. ჩ-ს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

თ. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ", მე-2 ნაწილის "გ" და მე-3 ნაწილის "ე" ქვეპუნქტებით, 19,109-ე პირველი ნაწილის "ა", "გ", მე-2 ნაწილის "გ" და მე-3 ნაწილის "ა", "ე" ქვეპუნქტებით -19 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად, რასაც ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაემატა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1987 წლის 24 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -11 თვე, 8 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით, 11 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 6500 ლარის ოდენობით.

"ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თ. ჩ-ე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით, 11 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა უნდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ თ. ჩ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

1986 წლის 24 ივლისს თ. ჩ-ე იმავე წლის 2 აპრილს ხულიგნური ქვენაგრძნობით ბ. ბ-სათვის სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის განზრახ მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენებისათვის გასამართლდა ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ და შეეფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც გადაევადა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

პირველი დანაშაულის ჩადენიდან 9 თვის შემდეგ, 1987 წლის 2 იანვარს, პირობით მსჯავრდებულმა თ. ჩ-მ ჩაიდინა უფრო მძიმე დანაშაული -ხულიგნური ქვენაგრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით პ. კ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა, რისთვისაც საქართველოს უმაღლესი სასამართლოს 1987 წლის განაჩენით, განაჩენთა ერთობლიობით, შეეფარდა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

"ამნისტიის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის მე-9 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, თ. ჩ-ს სასჯელი შეუმცირდა 7 წლამდე, 11 თვემდე და 9 დღემდე, ხოლო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლის საფუძველზე სასჯელი შეუმცირდა 6 წლამდე და 16 დღემდე.

1992 წლის 3 ივლისს თ. ჩ-ე რუსთავის დაწესებულება უი 123/3-დან (კოლონია) გადაყვანილ იქნა მუხროვანის კოლონია-დასახლება უი 123/44-ში, რომელიც სასჯელის მოხდამდე, ანუ 1993 წლის 19 ივლისამდე, 1992 წლის 11 აგვისტოს თვითნებურად მიატოვა.

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისათვის მებნილმა თ. ჩ-მ განიზრახა დანაშაულებრივი საქმიანობა. მან გამოიძიებინა დაუდგენელ დროსა და გარემოებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა 7,62მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალით -7,62 მმ კალიბრის არანაკლებ 19 ვაზნით.

1993 წლის 13 აგვისტოს, დაახლოებით 14 საათზე, თ. ჩ-ე, რომელიც უკანონოდ გადაზიდვად მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილ 7,62მმ კალიბრის ავტომატურ იარაღსა და მისთვის განკუთვნილ საბრძოლო მასალას (არანაკლებ 19 ვაზნას), თავის ნაცნობებთან -ზ. ს-სთან, ზ. ვ-სა და კ. ე-სთან ერთად ამ უკანასკნელის მართული და მისივე კუთვნილი „...-ის“ სახელმწიფო ნომრის ავტომანქანით საწვავის ჩასასხმელად მივიდა ზესტაფონის ცენტრში, ... ქუჩაზე მდებარე ამხანაგობა „...“ კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურთან, სადაც საოპერატოროში იმყოფებოდა ოპერატორი ტ. ჩ-ე, იქვე იყვნენ, აგრეთვე, გ. ს-ე, ი. ც-ე, ზესტაფონის შს რაიგანყოფილების მუშაკები: მ. ლ-ე და თ. რ-ე. კ. ე-მ ტ. ჩ-ს 20 ლიტრი ბენზინის, თანხის მომდევნო დღეს გადახდის პირობით, ჩასხმა სთხოვა. ტ. ჩ-მ, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, უარი განუცხადა, რის შემდეგაც მათი საუბარი კამათში გადაიზარდა. კამათში იქვე მყოფი ზესტაფონის რაიონის პოლიციის მუშაკი მ. ლ-ც ჩაერთო და საბოლოოდ კ. ე-ს თხოვნა დააკმაყოფილეს.

მიუხედავად ბენზინის ჩასხმისა, იმ გარემოებით უსაფუძვლოდ განაწყენებულმა თ. ჩ-მ, რომ ბენზინი პირველივე მოთხოვნისთანავე არ მისცეს და ამ საკითხის გადაწყვეტაში პოლიციის მუშაკი ჩაერთო, ხულიგნური ქვენაგრძნობით, საოპერატოროში მყოფი ტ. ჩ-სა და მ. ლ-ს განზრახ მოკვლის მიზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან არანაკლებ ცხრამეტჯერ გაისროლა საოპერატოროს მიმართულებით. იმავდროულად თ. ჩ-ე, დანაშაულს გაცნობიერებულად ჩადიოდა რა ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენდა მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, ითვალისწინებდა და მისი სურვილის მიუხედავად, შეგნებულად უშვებდა შესაძლებლობას, რომ ამ ქმედებას შესაძლოა მოჰყოლოდა როგორც საოპერატოროში მყოფი გ. ს-ს, ი. ც-სა და თ. რ-ს, ისე მისივე თანმხლები და იქვე, ბენზინგასამართ სადგურზე მყოფი ზ. ს-ს, ზ. ვ-სა და კ. ე-ს სიცოცხლის მოსპობა. შედეგად ზ. ს-ე გულმკერდის მარცხენა არეში მიღებული, ცეცხლსასროლი შემავალი ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა, ხოლო სხვა პირები, რომელთაგან მხოლოდ ტ. ჩ-მ სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილას -მარცხენა მხრის არეში მიიღო ცეცხლსასროლი დაზიანება, იატაკზე დროულად დაწოლის შედეგად გადარჩნენ. თ. ჩ-მ ჩათვალა, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა და თანნაქონი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

თ. ჩ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში (ზ. ს-ს ეპიზოდი).

თ. ჩ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“, მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებიდან (საქართველოს სსკ-ის 1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19,104-ე მუხლის მე-2, მე-3, მეოთხე, მე-6 და მე-9 პუნქტებზე (1960 წლის რედაქცია).

თ. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19,104-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-6 და მე-9 პუნქტებით (1960 წლის რედაქცია) -14 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თ. ჩ-ე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს -14 წლით თავისუფლების აღკვეთას დაემატა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1987 წლის 24 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -11 თვე, 8 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით, 11 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 20 ივნისიდან.

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი კ. ს-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ იგი უკანონო და დაუსაბუთებელია; მსჯავრდებულის ქმედებას მიცემული აქვს არასწორი კვალიფიკაცია და გამოყენებულია სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც ამკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას;

განაჩენის დადგენისას სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ჩადენილი დანაშაულის დრო, ადგილი, დანაშაულის ჩადენის იარაღი, საშუალება, ჭრილობის ხასიათი, ლოკალიზაცია, დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის მიზეზი; ყველა აღნიშნული გარემოება უნდა განხილულიყო ერთობლივად და მისცემოდა სწორი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლოს საქმის გან-

ხილვისას არ უნდა გაეზიარებინა მოწმეების -კ. ე-სა და ზ. ვ-ს ჩვენებები, ვინაიდან ისინი არ გამოდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან.

მსჯავრდებულ თ. ჩ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ფ. ა-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: თ. ჩ-ს გამართლებას განზრახ მკვლელობის მცდელობაში. კასატორის აზრით, აღნიშნული ბრალდება არის უსაფუძვლო და აგებულია მხოლოდ ვარაუდებზე; მხოლოდ ის ფაქტი, რომ თ. ჩ-მ ისროლა ბენზინგასამართი სადგურის მიმართულებით, არ ადასტურებს მკვლელობის განზრახვას. კასატორი მიიჩნევს, რომ თ. ჩ-სათვის მე-19,104-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-6 და მე-9 პუნქტებით (1960 წლის რედაქცია) 14 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და თ. ჩ-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის.

დაზარალებულ ე. მ-ს მიერ მიცემული ჩვენებების თანახმად, "ბენზინგასამართ სადგურზე მომხდარა ურთიერთშელაპარაკება, რასაც მოჰყოლია გასროლა და ზ-ს გარდაცვალება". მან კონკრეტულად არ იცის, იქ გასროლა თუ არა თ. ჩ-მ. მან იცის მხოლოდ სამმიმარზე მისული ხალხის ნაამბობიდან, რომ მის შვილს მოხვდა პისტოლეტიდან გასროლილი ტყვია, ხოლო თუ ვინ უამბო, ეს არ ახსოვს.

მოწმე კ. ე-ს ჩვენებების თანახმად, 1993 წლის 13 აგვისტოს იმყოფებოდა ქ. ზესტაფონში, ... ქუჩაზე მდებარე თავისი საცხოვრებელი ბინის ეზოში. მასთან ერთად იყვნენ თ. ჩ-ე და აწ გარდაცვლილი ზ. ს-ე. ზ. ს-ს ახლდა კიდეც ერთი პირი, სახელად ზ., რომელსაც პირადად არ იცნობდა და რომელმაც სთხოვა, რომ მანქანით გაეყვანა კვალითის დასახლებაში. სანამ დასახლებაში წავიდოდნენ, მივიდნენ მაშინდელ ცენტრალურ ბენზინგასამართ სადგურზე ბენზინის ჩასახმელად. ის და ზ. ს-ე გადავიდნენ მანქანიდან და მივიდნენ ოპერატორთან, რომელსაც სთხოვეს 20 ლიტრი ბენზინის ჩასხმა ნისიად, იმ დღესვე მიტანის პირობით. საუბარში ჩაერია იქ მყოფი პოლიციის თანამშრომელი მ. ლ-ე. ოპერატორმა ჩაუსხა ბენზინი და თან უთხრა, რომ "თქვენ არაფერი ფულის მომტანები არ იქნებითო". ამაზე მათ შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება. მან უთხრა ოპერატორს, რომ გამოსულიყო უკანა კარიდან და გაერკვიათ ურთიერთობა. ამ დროს გაიგონა სროლის ხმა. მისი აზრით, გასროლა მოხდა შენობიდან. გაიგონა ზ. ს-ს ხმა „მიშველეთო“. ზ. ს-ე არ იყო წაქცეული და ხელით ებლაუჭებოდა იქვე არსებულ რკინის ღობეს. იგი წავიდა მისკენ მისაშველებლად და ნახა, რომ ზ. ს-ე დაჭრილი იყო გულმკერდის არეში. იმავე დროულად თ. ჩ-მ, რომელიც იდგა ავტომანქანასთან, ავტომატით დაიწყო სროლა ბენზინგასამართი სადგურის მიმართულებით. თვითონ მარტო ვერ მოერია ზ. ს-ს, რომ იგი ჩაესვა ავტომანქანაში და მოიფიქრა, ავტომანქანა მიეყვანა ზ. ს-მდე, რაც განახორციელა კიდეც. ავტომანქანაში ჩაჯდა თ. ჩ-ც და ზ. ს-ე წაიყვანეს ცენტრალურ საავადმყოფოში, თუმცა უკვე გარდაცვლილი იყო. თვითონ კი წამოვიდნენ ქალაქისაკენ. ავტომანქანა გააჩერეს თავი საცხოვრებელ ბინასთან. იგი ჩავიდა მანქანიდან და ავიდა სახლში. სად წავიდნენ თ. ჩ-ე და მისთვის უცნობი ზ., არ იცის. რამდენიმე ხანში ჩამოვიდა ეზოში, მაგრამ რადგან ავტომანქანა იქ აღარ დახვდა, ისევ დაბრუნდა სახლში. მეორე დღეს წავიდა თბილისში, რადგან შემინებული იყო. რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა თბილისიდან და როდესაც იყო დაკითხვაზე მივიდა ზესტაფონის შს რაიგანყოფილებაში, იქ შეიტყო, რომ იმ დღეს მისი მანქანიდან გადაუცხრილავთ ზესტაფონის პოლიციის განყოფილების შენობა, ხოლო თუ ვინ დაცხრილა, ან ვინ წაიყვანა იმ დროისათვის მის ეზოსთან მდგარი ავტომანქანა, არ იცის. მან ასევე არ იცის, თუ სად წავიდა მისთვის უცნობი პირი, სახელად ზ. და არც მას შემდეგ უნახავს იგი.

მოწმე ზ. ვ-ს მიერ მიცემული ჩვენებებით დადასტურებულია, რომ 1993 წლის 13 აგვისტოს, დაახლოებით 12 საათზე, იგი იდგა ქ. ზესტაფონში, მოედანზე და ელოდებოდა ავტომანქანას, ვინაიდან სურდა ზავშვის წაყვანა ცენტრალურ საავადმყოფოში. ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ ნახა თავისი ძმა ს. ვ-ე, რომელიც იყო მანქანით და მან წაიყვანა საავადმყოფოში. იქ დაჰყო დაახლოებით ერთი საათი. შემდეგ წავიდა სახლში, სადაც იყო დაახლოებით 40 წუთი, რის შემდეგაც ჩავიდა ეზოში. ამ დროს გაიგონა სროლის ხმა ავტოსადგურის მხრიდან. როგორც შემდეგ

გაიგო, არ ახსოვს ვისგან, სროლის შედეგად გარდაცვლილა მისი მეგობარი ზ. ს-ე. ასევე გაიგო, რომ ზ. ს-ე და კ. ე-ე მისულან ბენზინგასამართ სადგურზე, ხოლო თუ ვინ ახლდა მათ კიდევ, არ იცის. კ. ე-საგან შეიტყო, რომ მათ იქ მოსვლიათ შელაპარაკება პოლიციის თანამშრომლებთან, რის შემდეგაც შიგნითა მხრიდან მომხდარა გასროლა და დაღუპულა ზ. ს-ე. ამის შემდეგ საპასუხოდ გარეთა მხრიდან უსვრიათ, ხოლო თუ ვინ ისროდა, მისთვის უცნობია. იმ დღეს მას არ უნახავს არც კ. ე-ე და არც აწ გარდაცვლილი ზ. ს-ე.

საქმეში არსებული, შემთხვევის ადგილის დათვალიერების 1993 წლის 13 ოქტომბრის ოქმით დადგენილია, რომ ქ. ზესტაფონში, ... ქუჩაზე არსებული ბენზინგასამართ სადგური მდებარეობს ცენტრალური საავტომობილო გზის ჩრდილოეთ მხარეს. გასამართი სადგური არის ერთსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც გარედან შედგებილია სხვადასხვა ფერის საღებავით. შენობის სიგრძეა 10X5 მ., რომელსაც სამხრეთის მხრიდან აქვს 3 ფანჯარა, ხოლო აღმოსავლეთ და დასავლეთის მხრიდან არსებულ ფანჯრებზე აღენიშნება ნატყვიარი, რომელიც არის შენობაში შემავალი -ზომით 5X10 სმ, 2X3, 4X8 სმ, 5X6, 10X15, 8X8 სმ. ფანჯრებს შორის არსებული 5 კვალი არის გაუვალი და ტყვიის გულების ამოღება ვერ მოხერხდა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა ტყვიის 4 მასრა. შენობის აღმოსავლეთით არსებული ფანჯრის მინა ჩამსხვრეულია და გისოსზე აღინიშნება ტყვიის კვალი. აგრეთვე ტყვიის კვალი აღინიშნება აღმოსავლეთით არსებულ ფანჯრის გისოსებზე ზომებით 3X2სმ, 4X2 სმ. შენობას ჩრდილოეთის მხრიდან აქვს ორი წყვილი, ერთფართიანი კარი. ავტოგასამართ სადგურს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება 5 მეტრის დაცილებით -რკინიგზა, აღმოსავლეთის მხრიდან 10 მეტრის დაცილებით -ალვის ხეები და მმაჩის განყოფილება, დასავლეთის მხრიდან -ცენტრალური საავტომობილო გზა და სამკერვალო ფაბრიკა, ხოლო სამხრეთის მხრიდან, 15 მეტრის დაცილებით -ცენტრალური საავტომობილო გზა და საცხოვრებელი სახლი.

საქმეში არსებული, შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ ბენზინგასამართ სადგურს ჩრდილოეთის მხრიდან აქვს რკინის ერთფართიანი კარი. სადგური შედგება 4 ოთახისაგან. პირველი ოთახი არის ზომით 1,5X2 მ. აქ არის გასასვლელი მეორე ოთახში, რომლის ფანჯრის მინა იყო მთლიანად ჩამსხვრეული. ხსენებული ოთახიდან აღმოსავლეთის მხარეს არის გასასვლელი მესამე და მეოთხე ოთახებში. მესამე ოთახში ჭერზე აღინიშნებოდა ორი ტყვიის კვალი. აგრეთვე ამოღებულ იქნა 6 ცალი ტყვიის გულა. იატაკზე ეყარა მინის ნამსხვრევები. მეოთხე ოთახში ჭერზე აღინიშნებოდა 2 ცალი ტყვიის კვალი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა არაფერი არ აღმოჩენილა.

საქმეში არსებული, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ერთი ცალი ტყვიის გულა და სამი ცალი ტყვიის გარსი შესაძლებელია გასროლილი იყო ფილიყო 7, 62 მმ კალიბრის "კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატიდან ან ტყვიამფრქვევიდან.

საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებულა, ჩატარებულია გვამის გარეგნული დათვალიერება და დადგენილია, რომ ზ. ს-ს გვამს აღენიშნებოდა: გულმკერდის წინა ნაწილში, მარცხნივ, მკერდის ღარის არეში, მე-2 და მე-3 ნეკნის დონეზე -ოვალური ფორმის შიგნით ჩაბრუნებული კიდეების მქონე ჭრილობა, ზომით 0,5X1 სმ; მარცხნივ, კევის არეში -ნაჭდვი მოწითალო ფერის, ზომით 1,5X2 სმ.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო გამოძიება ჩატარდა სრულად და ობიექტურად, რა დროსაც ზემოხსენებული და სხვა მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ თ. ჩ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის მე-19,104-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-6 და მე-9 პუნქტებით (1960 წლის რედაქცია), 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულები.

ამასთან, თ. ჩ-ს დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც აღინიშნა, თ. ჩ-ე მსჯავრდებულია სსკ-ის მე-19,104-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-6 და მე-9 პუნქტებით (1960 წლის რედაქცია) და მისჯილი აქვს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სსკ-ის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან სსკ-ის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამოღებულია, რაც ამკაცრებს სასჯელს, ხოლო სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს. ამასთან, თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება

ყველაზე მსუბუქი კანონი. ამდენად, 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სსკ-ის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თ. ჩ-ს სასჯელად შეიძლება დაენიშნოს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის -15 წლით თავისუფლების აღკვეთის სამი მეოთხედი -11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი დანიშნული სასჯელის ნაწილში უნდა შეიცვალოს თ. ჩ-ს სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ კ. ს-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ თ. ჩ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. ა-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ თ. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის მე-19,104-ე მუხლის მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე და მეცხრე პუნქტებით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მიესაჯოს 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1987 წლის 24 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -11 თვე, 8 დღე და საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვროს 12 წლით, 2 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2009 წლის 20 ივნისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. განგრძობადი დანაშაული

განჩინება

#962-აპ-09

2 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ პ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენზე ჯ. ა-ევისა და მ. ი-ოვის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივლისის განაჩენით ჯ. ა-ევი და მ. ი-ოვი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ბრალდების ორი ეპიზოდი) იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინეს თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განაჩენით, ჯ. ა-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით და "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის გამოყენებით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

ჯ. ა-ევმა გაიგო, რომ თავისი სამსახურის უფროსი ნ. ჯ-ძე საკუთარი ფერმიდან მოპარული საქონლის შესახებ რაიმე საინტერესო ინფორმაციის მომპოვებელს პრემიის სახით გადაუხდოდა 1000 ლარს, რის შემდეგ განიზრახა, თაღლითური გზით მიეთვისებინა სხვისი მოძრავი ნივთი. მან თავისი განზრახვა გაანდო მ. ი-ოვს. მათ შექმნეს პირთა ჯგუფი, მოიპოვეს ნ. ჯ-ძის ნდო-

ბა, რომელსაც ჯ. ა-ევმა უთხრა, რომ მის მეგობარ მ. ი-ოვს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად იყო გადამალული მისი 14 სული საქონელი. ამ ინფორმაციაში ნ. ჯ-ძეს უნდა გადაეხადა 300 ლარი. 2008 წლის დეკემბერში ჯ. ა-ევმა და მ. ი-ოვმა იგი წაიყვანეს მარნეულში, შორიდან დაანახვეს მიტოვებული შენობა და მ. ი-ოვმა უთხრა, რომ მისი საქონელი იქ ჰყავდათ გამტაცებლებს დამალული, რის შემდეგაც უკან დაბრუნდნენ. გზაში, ფონიჭალის დასახლების ტერიტორიაზე, ნ. ჯ-ძემ მას გადასცა შეპირებული 300 ლარი.

რამდენიმე დღეში ჯ. ა-ევმა და მ. ი-ოვმა კვლავ გადაწყვიტეს ნ. ჯ-ძისათვის თაღლითურად ფულის გამორთმევა. მათ ამჯერადაც შექმნეს პირთა ჯგუფი და ნ. ჯ-ძეს უთხრეს, რომ მისი საქონლის უკან დაბრუნებაში გამტაცებლები ითხოვნენ 400 ლარს. ვინაიდან ნ. ჯ-ძე მ. ი-ოვს აღარ ენდობოდა, მან ხსენებული თანხა გადასცა ნდობით აღჭურვილ პირს -ჯ. ა-ევს. ისინი მეორე დღეს უნდა წასულიყვნენ მარნეულში საქონლის დასაბრუნებლად. აღნიშნულის შემდეგ ბორჯომი-ქვემოციხეში მოლაპარაკებისამებრ გაიყვეს თანხა, მეორე დღეს სოფელში აღარ გამოჩნდნენ, ხოლო იმისათვის, რომ დაზარალებულს თანხა უკან არ მოეთხოვა, ჯ. ა-ევმა იგი მოატყუა, რომ თითქოს მ. ი-ოვმა მას მარნეულში ბიჭები დაახვედრა და თანხა დანის მუქარით წაართვეს.

აღნიშნული ქმედებისათვის დანაშაულთა ერთობლიობით მ. ი-ოვს მიესაჯა 8 წლით, ხოლო ჯ. ა-ევს -10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წელი, 5 თვე, 11 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 11 წლით, 5 თვითა და 11 დღით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყო 2009 წლის 13 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. ა-ევმა. მან ითხოვა განაჩენიდან პირველი ეპიზოდის ამორიცხვა და სასჯელის შემცირება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ჯ. ა-ევსა და მ. ი-ოვს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები (2008 წლის დეკემბრის მე-2 ეპიზოდი); მათ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯათ: მ. ი-ოვს -4 წლით, ჯ. ა-ევს კი -5 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენითა ერთობლიობით ჯ. ა-ევს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის, 5 თვისა და 11 დღის ვადით.

კასატორი -პროკურორი პ. ბ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, უნდა გაუქმდეს და ძალაში დარჩეს გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივლისის განაჩენი, რადგან ჯ. ა-ევსა და მ. ი-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაული განგრძობად დანაშაულთა კატეგორიას არ მიეკუთვნება, როგორც ამას სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, ვინაიდან მათ მიერ ჩადენილია დანაშაულის ორი -ცალ-ცალკე ეპიზოდი; პირველი ეპიზოდის შემდეგ მათ წარმოემვათ ახალი განზრახვა, რათა კვლავ დაუფლებოდნენ ნ. ჯ-ძის კუთვნილ თანხას, რაც ცალკე ეპიზოდად მოიყვანეს სისრულეში. განგრძობადი დანაშაულის ჩადენის ყველა ეპიზოდი მოცული უნდა იყოს ერთიანი განზრახვით, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ჯ. ა-ევმა განიზრახა, პრემიის სახით დაწესებული 1000 ლარის თაღლითურად დაუფლება, რის გამოც მსჯავრდებულები მოქმედებდნენ ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენის აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ჯ. ა-ევმა და მ. ი-ოვმა განიზრახეს არა 1000 ლარის, არამედ სხვისი მოძრავი ნივთის მითვისება მას შემდეგ, რაც შეიტყვეს დაწესებული პრემიის თაობაზე. თავდაპირველად ჯ. ა-ევი და მ. ი-ოვი დაეუფლნენ 300 ლარს, რის შემდეგ კვლავ გადაწყვიტეს ფულის მოტყუებით დაუფლება და დაზარალებულს გამოართვეს 400 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა ემყარებოდა თავად განსასჯელთა აღიარებით ჩვენებებს და სხვა მტკიცებულებებს.

პალატა აღნიშნავს, რომ ერთიან დანაშაულთან მიმართებით სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა არა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან, არამედ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

ამრიგად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც მსჯავრდებულთა ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით უნდა იმსჯელოს საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა გამოიკვლიოს მტკიცებულებები და მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

პროკურორ პ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ - გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენი ჯ. ა-ევისა და მ. ი-ოვის მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ამსრულებლის ექსცესი

განჩინება

#789-აპ-09

7 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. კ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ჩხორთწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენით:

მ. ზ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით -16 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ზ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 24 ივლისიდან.

პ. ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე და 55-ე მუხლების თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. პ. ქ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 24 ივლისიდან.

რ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით -14 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განე-

საზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. რ. პ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 24 ივლისიდან.

ბ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 24 ივლისიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების: მ. ზ-ს, პ. ქ-ს, რ. პ-სა და ბ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ქ. ზუგდიდში, ... ქუჩის #...ში მცხოვრები მ. ზ-ა 2008 წლის აპრილიდან იმყოფებოდა ... რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებ რ. ი-ს საცხოვრებელ სახლში. 2008 წლის 22 ივლისს, დღის მეორე ნახევარში, მ. ზ-ა ქ. ზ-ს სოფელ ... მიმართულებით მგზავრობისას შეხვდა თავის ნათესავს, ... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ: პ. (იგივე ნ.) ქ-ს, რომელსაც თან ახლდნენ მეგობრები: ... რაიონის ... დასახლებაში მცხოვრებნი, ბ. ნ-ი და რ. პ-ი. სოფელ ...-ში ჩასვლის შემდეგ ისინი საბანაოდ მივიდნენ მდინარეზე. იქ დარჩნენ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. მდინარის პირას ყოფნისას ზემოთ დასახლებული პირები შეხვდნენ იმავე სოფელში მცხოვრებ ძმებს -გ. და გ. ქ-ს, რომლებმაც დაპატიჟეს თავიანთ სახლში, სადაც ოჯახის დიასახლისმა გაშალა სუფრა. სუფრასთან მ. ზ-მ და მასთან მყოფმა ბიჭებმა დალიეს ალკოჰოლური სასმელი -ორ-ორი ჭიქა არაყი. დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე მ. ზ-ა, პ. (იგივე ნ.) ქ-ა, ბ. ნ-ი და რ. პ-ი გავიდნენ გ. და გ. ქ-ს საცხოვრებელი სახლიდან და გაემართნენ რ. ი-ს სახლის მიმართულებით. გზაში, როდესაც გადიოდნენ იმავე სოფელში მცხოვრებ ლ. თ-ს ასულ ი-ს ჭიშკართან, მ. ზ-მ შესთავაზა მასთან მყოფ ახალგაზრდებს, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავს დასხმოდნენ ლ. ი-ს. პ. ქ-ა, ბ. ნ-ი და რ. პ. დათანხმდნენ მ. ზ-ს წინადადებას და მასთან ერთად განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ლ. ი-ს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ. ზ-ა, პ. ქ-ა, ბ. ნ-ი და რ. პ. შევიდნენ ლ. ი-ს ეზოში, მივიდნენ მის საცხოვრებელ სახლთან, მ. ზ-ა და პ. ქ-ა ავიდნენ საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე დამხარე ნაგებობის სახურავზე, დასაკეცი დანის გამოყენებით გამოიღეს სახლის მეორე სართულის კედელში არსებული ფანჯრის მინა, გააღეს ფანჯარა, რის შემდეგაც მ. ზ-მ, პ. ქ-მ და რ. პ-მ უკანონოდ შეაღწიეს ლ. ი-ს საცხოვრებელ სახლში, ხოლო ბ. ნ-ი დატოვეს გარეთ, რათა ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი. აღნიშნულის შემდეგ მ. ზ-ა, პ. ქ-ა და რ. პ-ი შევიდნენ ლ. ი-ს სამინებელ ოთახში, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მოსთხოვეს მას ფულის გადაცემა. ლ. ი-მ უთხრა თავდამსხმელებს, რომ ფულს ინახავდა სახლის პირველ სართულზე. დანაშაულის ჩადენის გაადვილებისა და მისი დაფარვის მიზნით, აგრეთვე, იმისათვის, რომ ლ. ი-ს არ დაეწყო ყვირილი და არ ეხმო დახმარებისათვის, მ. ზ-მ, პ. ქ-მ და რ. პ-მ გაკოჭეს ლ. ი-ა: თოკით შეუკრეს ხელ-ფეხი, ხოლო ფარდის ნაჭრით აუკრეს პირი, რითაც შეუზღუდეს მას სუნთქვის საშუალება. მ. ზ-ა, პ. ქ-ა და რ. პ-ი უშვებდნენ, რომ პირის აკვრას შეიძლებოდა გამოეწვია 81 წლის ლ. ი-ს გაგუდვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გააგრძელეს ფულის ძებნა, რა დროსაც მათ ნახეს და აიღეს ლ. ი-ს კუთვნილი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონის აპარატი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სუნთქვის შეზღუდვის შედეგად, ლ. ი-ა გაიგუდა და გარდაიცვალა, ხოლო მ. ზ-ა, პ. ქ-ა და რ. პ-ი გავიდნენ მისი საცხოვრებელი სახლიდან. მათ ბ. ნ-ს უთხრეს, რომ ლ. ი-ა დაიღუპა, რის შემდეგაც დატოვეს იქაურობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 აგვისტოს განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გასაჩივრებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხა პ. ქ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლზე მითითება.

მ. ზ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით -14 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პ. ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. პ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით -11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით -14 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ რ. პ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. კ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და რ. პ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, არ აღმოფხვრილა ის დარღვევები, რომელიც იყო დაშვებული წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს. რ. პ-ს მსჯავრი დაედო იმ დანაშაულებისათვის, რაც მას არ ჩაუდენია. წინასწარი და სასამართლო გამოძიების ეტაპებზე დაირღვა მტკიცებულებათა გამოკვლევის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულ ბ. ნ-ს მიმართ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს, რომ საქმეში არ მოიპოვება რ. პ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის რაიმე უტყუარი მტკიცებულება.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ი-ს ჩვენებით, მოწმეების: ო. ი-ს, ი. ი-ს, კ. კ-ს, ბ. ქ-ს, ჟ. ა-ს ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა: რ. პ-მ, პ. ქ-მ და მ. ზ-მ ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულები.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულ ბ. ნ-ს მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საბრალდებო დასკვნითა და I-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. ზ-მ შესთავაზა მასთან მყოფ ახალგაზრდებს, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავს დასხმოდნენ ლ. ი-ს. პ. ქ-ს, ბ. ნ-ი და რ. პ-ი დათანხმდნენ მ. ზ-ს წინადადებას და მასთან ერთად განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ლ. ი-ს. მ. ზ-მ, პ. ქ-მ, რ. პ-მ უკანონოდ შეაღწიეს ლ. ი-ს საცხოვრებელ სახლში, ხოლო ბ. ნ-ი დატოვეს გარეთ, რათა ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა I-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის მიცემულ სამართლებრივ შეფასებას, მაგრამ ამასთან, განაჩენით დადგენილად ჩათვალა, რომ მსჯავრდებულები: მ. ზ-ს, პ. ქ-ს, რ. პ-ი და ბ. ნ-ი წინასწარ შეთანხმდნენ, რომ ჩაედინათ ქურდობა, მაგრამ ბინაში უკანონო შეღწევის შემდეგ მათი ქმედება გადაიზარდა უკვე ყაჩაღურ თავდასხმაში, ხოლო ბ. ნ-ი დატოვეს გარეთ, რათა ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მსჯავრდებულების მხრიდან ადგილი ჰქონდა წინასწარ შეთანხმებას, ჩაედინათ ქურდობა, მაგრამ შემდგომში საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგინდა, რომ მათი ქმედება უკვე გადაიზარდა ყაჩაღურ თავდასხმაში.

საქართველოს სსკ-ის 26-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახეზეა ამსრულებლების - მ. ზ-ს, პ. ქ-ს, რ. პ-ს მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელსაც არ მოიცავდა მათი თანამონაწილის - ბ. ნ-ს განზრახვა, რომელიც იყო

გარეთ, რათა გაეფრთხილებინა ისინი ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში და, ცხადია, მისთვის უცნობი იყო, თუ რა ხდებოდა მისი თანამონაწილეების მხრიდან შინაში. მსჯავრდებულებს ჰქონდათ წინასწარი შეთანხმება ქურდობის ჩადენაზე და ამ განზრახვით შევიდნენ ლ. ი-ს საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მ. ზ-ს, პ. ქ-სა და რ. კ-ს ქმედება გადაიზარდა ყაჩაღურ თავდასხმაში.

ამდენად, ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში ადგილი ჰქონდა ამსრულებლების ექსცესს და ბ. ნ-ს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რაზეც იყო წინასწარი შეთანხმება სხვა მსჯავრდებულებთან, რის გამოც ბ. ნ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე, ხოლო მოსახდელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 აგვისტოს განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ბ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე, ხოლო მას მოსახდელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სასჯელი

სასჯელის შემსუბუქება

განჩინება

#932-აპ-09

19 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჯ. ბ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განაჩენით გ. ჯ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით 1 საათზე, თურქეთის მოქალაქე გ. ჯ. ბ-ი იმყოფებოდა ბათუმში, კ-ს ქ. #13-ში მდებარე, თავის კაფე-ბარ „...-ში“. მასთან მივიდნენ მ. მ-ე, მ. ფ-ე, ა. მ-ე და ფ. მ-ე, რომლებმაც ბარის მეპატრონეს განუცხადეს, რომ სურდათ კაფე-ბარში ალკოჰოლური სასმელების დაღევა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან შეხვედრა, რაზეც გ. ჯ. ბ-იმ განუცხადა უარი, რის გამოც დაწყებული კამათი გადაიზარდა ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ჩხუბის დროს გ. ბ-ის გაუჩნდა მ. მ-ის მოკვლის განზრახვა, რომლის სისრულეში მოსაყვანადაც ის შევიდა კაფე-ბარ სამზარეულოში, აიღო დიდი სამზარეულო დანა, გამოვიდა ეზოში და მოკ-

ვლის მიზნით მ. მ-ეს დანით მიაყენა სხეულის მრავლობითი დაზიანება და ცდილობდა მის მოკვლას, რაც ვერ შეძლო, ვინაიდან იქ მყოფმა პირებმა სიტუაცია განმუხტეს. დაზარალებული სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს ბათუმის #1 საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში და ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარება, ხოლო გ. ჯ. ბ-ი დააკავეს.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ბ-ის მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 25 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ე. მ-ემ. მათ ითხოვეს გ. ჯ. ბ-ის გამართლება, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გ. ბ-ის განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორები -მსჯავრდებული და მისი ადვოკატი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის მატერიალური კანონი: გ. ჯ. ბ-იმ დანა გამოიტანა მხოლოდ იმიტომ, რომ მოეგერიებინა ნასვამი მ. მ-ე და მისი მეგობრები და არა -ვინმეს მოკვლის განზრახვით; დანაშაული დაუმთავრებელია და არ არის დადგენილი მისი მოტივი; დადგენილია, რომ მსჯავრდებული დანას იქნევდა „განივად“ და არა -„მჩხვლეტავად“; დაზიანებები მიყენებულია გაკვრით და ლესილი პირით; მკვლელობის განზრახვის არსებობისას კი იგი ეცდებოდა, მ. მ-ისათვის მიეყენებინა შემავალი ჭრილობა. მას შემდეგ, რაც გ. ბ-იმ მ. მ-ე და მისი თანმხლები პირები განდევნა ბარიდან, თვითონვე შეწყვიტა დანის ქნევა, იგი არავის შეუჩერებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორები ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად ქმედების სწორად დაკვალიფიცირების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, რადგან ეყრდნობა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს.

დაზარალებული მ. მ-ე მიუთითებს, რომ გ. ბ-იმ რამდენჯერმე დაარტყა დანა უკნიდან. მანამდე დაიძახეს -"დანაო", რის გამოც ინსტიქტურად გვერდით გადაა. რომ არ გაწეულიყო, შესაძლოა მომკვდარიყო.

მოწმე ფ. მ-ეც აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულმა დაზარალებულს ზურგიდან არაერთხელ მოუქნია დანა, მათ შორის -კისერში და რომ მოერტყა, მოკლავდა კიდეც.

ყველა მოწმის ჩვენებების ანალიზით იკვეთება, რომ გ. ბ-ი მოქმედებდა შურისძიების მოტივით. ამაზე მეტყველებს მისი ქცევაც. დაზარალებულსა და მის თანმხლებ პირებთან ჩხუბის დროს მან კაფე-ბარის სამზარეულოდან გამოიტანა დანა და გავიდა გარეთ მაშინ, როცა არც მის და არც სხვის სამართლებრივ სიკეთეს არაფერი ემუქრებოდა.

კაფე-ბარის თანამშრომელი ნ. მ-ი ადასტურებს დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებს. იგი აღნიშნავს, რომ "იმათაც (მ. მ-ე და მისი თანმხლებნი) რომ დაინახეს დანით მიდიოდა, გაიქცნენ და მაშინ მოხდა დაჭრა".

გარდა ამისა, დაზარალებულს ჭრილობები მიყენებული აქვს ზურგიდან, რაც მისი მხრიდან თავდასხმას გამორიცხავს. ცხადია ისიც, რომ დანის არაერთხელ დარტყმისას დაზარალებულს მიეხმარნენ მისი თანმხლები პირები და უსაფუძვლოა კასატორის მოტივი, თითქოს იგი არავის შეუჩერებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ქმედება სწორად შეფასდა. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ განსასჯელის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მის მიერ დანაშაულის აღიარებაზე და საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარი, ასევე პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა მიიჩნია, რასაც სააპელაციო სასამართლომ სათანადო ყურადღება არ მიაქცია, მიუხედავად იმისა, რომ მიუთითა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი არაერთი გარემოება და მნიშვნელოვნად შეამცირა სასჯელი, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი დატოვა უცვლელად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბრალის აღიარება, საგამომიებო ორგანოებში გამოცხადება და თანამშრომლობა წამახალისებელი ნორმებია, რაც პირს არაფერს ავალდებულებს, პირიქით, საკანონმდებლოს დონეზე და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებულია დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დუმის უფლება და უფლება კანონით ნებადართული ყველა საშუალებით დაიცვას საკუთარი ინტერესები. ამდენად, არასწორია ვალდებულების არ არსებობისას პირის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლების გამოყენების პასუხისმგებლობის დამამძიმებელად მიჩნევა.

შესაბამისად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი აღნიშნული გარემოება გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს.

რაც შეეხება სასჯელს, იგი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მსჯავრდებულის პიროვნების, ქმედების განხორციელების სახისა და ხერხის, მისი სიმძიმის გათვალისწინებით არ არის მკაცრი და, შესაბამისად, უსამართლო.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ჯ. ბ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ოქტომბრის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება გ. ჯ. ბ-ის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მის მიერ დანაშაულის აღიარებაზე და საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის, ასევე - პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობისა და დანაშაულის საჯარო ადგილას ჩადენის მიჩნევის შესახებ.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულის თანაამსრულებლობისათვის

განჩინება

#803-აპ-09

7 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. უ-ის, ასევე, მსჯავრდებულების: თ. ქ-ისა და ზ. ი-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. მ-ასა და ი. შ-ას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 აგვისტოს განაჩენზე ზ. ი-ის, გ. ა-ის, თ. ქ-ისა და ზ. უ-ის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ზ. ი-ს, გ. ა-ს და თ. ქ-ეს ბრალი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინეს ქურდობა, სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია არაერთგზის; ზ. უ-ეს ბრალი დაედო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინა ქურდობა, სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ყოველივე კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

ზ. უ-ე 2008 წლის თებერვალში, ზუსტი რიცხვი უცნობია, დაუკავშირდა დაუდგენელ პირებს და განიზრახეს, უკანონოდ შეეღწიათ წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მცხოვრებ მ. გ-ის, ე. ბ-ის, ა. ფ-ისა და ი. რ-ის კუთვნილ პირუტყვის ბოსლებში და ფარულად დაუფლებოდნენ მათ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბოროტმოქმედებმა 2008 წლის 28 თებერვალს, ღამით, უკანონოდ შეაღწიეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ში, მოსახლეობიდან 500 მეტრით დაცილებულ, ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებულ ბოსლებში, სადაც ფარულად დაუფლნენ მ. გ-ის კუთვნილ, 1700 ლარად ღირებულ ორ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ა. ფ-ის 1600 ლა-

რად ღირებულ ორ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ე. ბ-ის 300 ლარად ღირებულ ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვსა და ი. რ-ის 1000 ლარად ღირებულ ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, რითიც დაზარალებულებს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი. იმავე დამეს მათ მოპარული პირუტყვი დაკლეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ის ტერიტორიაზე არსებულ საძოვარზე, მოსახლეობისათვის შეუმჩნეველ ადგილზე, იქვე დატოვეს მოჭრილი ფეხები და სხვა ნარჩენი, ხოლო ხორცი, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, წაიღეს თბილისის მიმართულებით.

2008 წლის 9 აპრილს, დამით, ზ. უ-ე კვლავ დაუკავშირდა დაუდგენელ პირებს და მათთან ერთად უკანონოდ შეაღწია წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ში მცხ. თ. ბ-ის კუთვნილ ბოსელში, საიდანაც, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ხარს, რითიც დაზარალებულს მიადგა 1000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ბოროტმოქმედები ასევე ფარულად დაეუფლნენ თ. ბ-ის მეზობლად, რამდენიმე მეტრში მდებარე ი. კ-ოს ბოსლიდან ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს -ხარს, რითიც დაზარალებულს მიადგა 1000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მოქმედებდნენ რა ერთიანი განზრახვით, ზ. უ-ე და მისი თანამზრახველები იმავე დამეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ში მცხ. ჰ. კ-ის ბოსლიდან ფარულად დაეუფლნენ სამ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, რითიც დაზარალებულს მიაყენეს 2000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. იმავე დამეს მოპარული პირუტყვი მათ სოფელ ...-ში, წისქვილკომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსახლეობიდან ორ კილომეტრში, დაკლეს, შემთხვევის ადგილზე დატოვეს ხუთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავი და ფეხები, ხოლო დამზადებული ხორცი, მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, წაიღეს თბილისის მიმართულებით.

აღნიშნულის შემდეგ ზ. უ-ე კვლავ დაუკავშირდა დაუდგენელ პირებს და მათთან ერთად ფარულად დაეუფლა წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ში მცხ. ი. ა-ის კუთვნილ ორ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს -ძროხას, რომლებიც პატრონს დაბმული ჰყავდა სამეურნეო ნაკვეთში, რითიც დაზარალებულს მიადგა 2000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. იმავე დღეს ბოროტმოქმედებმა მოპარული პირუტყვი დაკლეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ის ტერიტორიაზე, მოჭრილი ფეხები და თავები ადგილზე დატოვეს, ხოლო ხორცი სარეალიზაციოდ წაიღეს თბილისის მიმართულებით.

2008 წლის 17 ივნისს ზ. უ-ე დაუდგენელ პირებთან ერთად ფარულად დაეუფლა წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ში მცხ. უ. ბ-ის კუთვნილ ორ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, რომლებიც გაშვებული იყო საძოვარზე, რითიც დაზარალებულს მიადგა 3000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. იმავე საღამოს მათ პირუტყვი დაკლეს, შემთხვევის ადგილზე დატოვეს მოჭრილი თავები და სხვა ნარჩენი, ხოლო ხორცი სარეალიზაციოდ წაიღეს თბილისის მიმართულებით.

2008 წლის ივლისის დასაწყისში ზ. უ-ე დაუკავშირდა გ. ა-ს, ზ. ი-სა და თ. ქ-ეს, რომლებმაც განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლებოდნენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-ში. მათ შეარჩიეს ნ. შ-ისა და ტ. შ-ის კუთვნილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბოროტმოქმედებმა უკანონოდ შეაღწიეს ნ. შ-ის საკარმიდამო ნაკვეთში, სადაც ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ ორ სულ რქოსან პირუტყვს, რითიც დაზარალებულს მიაყენეს 1800 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. მათვე ტ. შ-ის ბოსლიდან ფარულად გამოიყვანეს სამი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რითიც დაზარალებულს მიაყენეს 1850 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. იმავე დამეს ზ. უ-ემ და მისმა თანამზრახველებმა მოპარული საქონელი დაკლეს სოფელ ქვიტირის ტერიტორიაზე, თავები და სხვა ნარჩენი დატოვეს ადგილზე, ხოლო ხორცი თ. ქ-ის კუთვნილი ავტომანქანით სარეალიზაციოდ წაიღეს თბილისის მიმართულებით.

2008 წლის 7 ივლისს, საღამოს საათებში, ზ. ი-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თ. ქ-ეს, ზ. უ-ესა და გ. ა-ს, ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს ქურდობა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ბოროტმოქმედები 2008 წლის 7 ივლისს, დამის საათებში, თ. ქ-ის კუთვნილი „ოპელ-ფრონტერას“ მარკის ავტომანქანით მივიდნენ დუშეთის რაიონის სოფელ ...-ში, თ. ქ-ე დარჩა მანქანასთან, დასახლებული პუნქტიდან მოშორებით, ხოლო ზ. ი-ი, გ. ა-სა და ზ. უ-ესთან ერთად, ფეხით მივიდა ამავე სოფელში მდებარე შ. წ-ის საცხოვრებელ სახლთან. მათ კარის გაღებით უკანონოდ შეაღწიეს მავთულზადითა და ხის მესრით შემოღობილ საქონლის სადგომში, სადაც ფარულად დაეუფლნენ და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს შ. წ-ის კუთვნილი სამი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლებიც წინასწარ მომზადებული თოკებით მიიყვანეს სოფლის განაპირა ტერიტორიაზე, სადაც დაკლეს და დაამუშავეს. აღნიშნულის შემდეგ დანაწევრებული ხორცი და საქონლის თავები მოათავსეს ავტომანქანის საბარგულში და ნაქურდალის რეალიზაციის მიზნით გაემართნენ თბილისის მიმართულებით, რადროსაც ისინი დააკავეს პოლიციელებმა დუშეთის რაიონის დაბა ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

აღნიშნული ქმედებით ზ. ი-მა და მისმა თანამზრახველებმა დაზარალებულს მიაყენეს 3200 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 აპრილის განაჩენით ზ. უ-ე გამართლდა 2008 წლის 29 თებერვალს, 9 აპრილს, 8 ივნისს და 17 ივნისს ქურდობის ფაქტებთან დაკავშირებულ ბრალდების ეპიზოდებში. ზ. ი-ს, გ. ა-ს და თ. ქ-ეს მსჯავრი დაედოთ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2008 წლის 2 ივლისის ეპიზოდი), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2008 წლის 7 ივლისის ეპიზოდი, ზ. უ-ეს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2008 წლის 2 ივლისისა და 7 ივლისის ეპიზოდები) და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრათ: ზ. ი-ს, თ. ქ-ესა და გ. ა-ს -10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -4-4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ზ. უ-ეს -13 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -4 ათასი ლარი. მათვე მთლიანად დაემატათ წინა განაჩენებით აღნიშნული სასჯელების მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მიესაჯათ: ზ. ი-ს -12 წლით, 3 თვითა და 15 დღით, გ. ა-ს -15 წლით, 3 თვითა და 15 დღით, თ. ქ-ეს -14 წლით, 3 თვითა და 28 დღით, ზ. უ-ეს -15 წლით, 3 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2009 წლის 2 აპრილიდან. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელები და მსჯავრდებულებს სოლიდარულად დაეკისრათ: დაზარალებულ ტ. შ-ის სასარგებლოდ -1850 ლარის, შ. წ-ის სასარგებლოდ -3200 ლარის, ხოლო ზ. ი-ს, ზ. უ-ესა და თ. ქ-ეს -დაზარალებულ ნ. შ-ის სასარგებლოდ -1350 ლარის გადახდა. თ. ქ-ეს საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა დანაშაულის საგანი -„ოპელ-ფრონტერას“ მარკის ავტომანქანა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა -თ. ქ-ემ, ზ. უ-ემ, გ. ა-მა და მათმა ადვოკატებმა -მ. ხ-ემ, რ. ზ-მა და ნ. ჟ-მა, ასევე -მსჯავრდებულ ზ. ი-ის ადვოკატმა ი. შ-ამ და ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ. ხ-მა.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა ზ. უ-ის მიმართ განაჩენში საუარესო ცვლილების შეტანა და მისთვის სასჯელის ზომად 30 წლით თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმად -12 ათასი ლარის განსაზღვრა; ადვოკატებმა -ი. შ-ამ და ნ. ჟ-მა -ზ. ი-ისა და გ. ა-ისათვის სასჯელების მინიმუმამდე შემცირება, სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით მათი პირობითად ჩათვლა და ჯარიმის ამორიცხვა; მსჯავრდებულმა თ. ქ-ემ და ადვოკატმა მ. ხ-ემ -სასჯელის მინიმუმამდე შემცირება, სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით მისი პირობითად ჩათვლა და ჩამორთმეული ავტომანქანის დაბრუნება, ხოლო მსჯავრდებულმა ზ. უ-ემ და ადვოკატმა რ. ზ-მა -ზ. უ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოხსნა (2008 წლის 2 ივლისის ეპიზოდი) და ამ ნაწილში მისი გამართლება, დანარჩენ ნაწილში კი სასჯელის მინიმუმამდე შემცირება, ასევე, დაზარალებულებისათვის სამოქალაქო სარჩელებზე უარის თქმა.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას მსჯავრდებულმა გ. ა-მა და მისმა ადვოკატმა ნ. ნ-ემ დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ასევე ითხოვეს გ. ა-ის გამართლება 2008 წლის 2 ივლისის ეპიზოდში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 აგვისტოს განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და წყალტუბოს რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ზ. უ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ აღიარებს მხოლოდ 2008 წლის 7 ივლისს ჩადენილ დანაშაულს; სხვა დანაშაული მას არ ჩაუდენია და არც საქმეშია რაიმე მტკიცებულება; სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ. ასევე გაუგებარია, თუ რატომ დასაჯეს იგი ყველაზე მკაცრად, როცა სხვა მსჯავრდებულებს იმავე ეპიზოდში ნაკლები სასჯელი განუსაზღვრეს. კასატორი ასევე არ ეთანხმება სამოქალაქო სარჩელებს, ვინაიდან 2008 წლის 2 ივლისს მას დანაშაული არ ჩაუდენია; რაც შეეხება 7 ივლისის ეპიზოდს -არც ამ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელი, რადგან არც სასამართლოს მოუპოვებია და დაზარალებულსაც არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელზეც ამყარებდა სასარჩელო მოთხოვნას, მით უმეტეს, დაზარალებულის განმარტებით, მან ისარგებლა თავისი პირუტყვის ხორციით, რაშიც აიღო 500 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ზ. უ-ე ითხოვეს 2008 წლის 2 ივლისის ეპიზოდში გამართლებას, 2008 წლის 7 ივლისის ეპიზოდში კი -სასჯელის მინიმუმის განსაზღვრას.

ადვოკატი ი. მ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უსამართლო და მეტისმეტად მკაცრია შემდეგ გარემოებათა გამო:

თ. ქ-ისათვის დადგენილი სასჯელის ზომა აშკარად მკაცრია, ხოლო დამატებითი სასჯელები მოკლებულია სამართლებრივ არგუმენტაციასა და საფუძველს, რადგან მსჯავრდებულს არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, სასამართლომ კი არ გაიზიარა, რომ თ. ქ-ე აღიარებდა და გულწრფელად ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს, ასახელებდა თანამონაწილე პირებს, გადატანილი ინფარქტის გამო მეტად მძიმეა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამიტომაც მან ვერ

შემლო საპედაგოგო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობა; იგი ამჟამადც გადის მკურნალობის კურსს; აქვს მძიმე მატერიალური მდგომარეობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მის მიმართ სასჯელის ერთ-ერთ ღონისძიებად გამოყენებულია ქონების ჩამორთმევა. თ. ქ-ე მართავდა თავისი მეუღლის ავტომანქანას, ამიტომ სასჯელის ეს ღონისძიება უნდა გაუქმდეს, ხოლო ავტომანქანა - დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს - თ. ქ-ის მეუღლეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ი. მ-ა ითხოვს თ. ქ-ისათვის დანაშაულთა ერთობლიობით - 8 წლით, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით - საბოლოოდ 12 წლით, 3 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, ჯარიმის - 4 ათასი ლარის მოხსნასა და ჩამორთმეული ავტომანქანის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებას, რადგან თ. ქ-ეს ავტომანქანა მისმა მეუღლემ დროებით სარგებლობისთვის გადასცა.

ადვოკატი ი. შ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი აშკარად მკაცრი და შეუსაბამოა ზ. ი-ის ქმედებასა და პიროვნულ მახასიათებლებთან, რადგან მსჯავრდებულმა მთლიანად აღიარა და მოინანია ჩადენილი ქმედება, ითანამშრომლა გამომძიებელსთან და დაასახელა თანამონაწილეები; იგი არ დაუკავებიათ უშუალოდ დანაშაულის ჩადენის დროს და ჩადენისთანავე; ზ. ი-ი არ განეკუთვნება კლასიკურ „დამნაშავეთა სამყაროს“, არ გამოირჩევა აგრესიული კრიმინალური მენტალიტეტით; დანაშაული ჩადენინა ოჯახის უკიდურესმა მატერიალურმა გაჭირვებამ და არა - რაიმე გამორჩენამ ან პირადმა ინტერესმა, რაც სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ითხოვს განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, სასჯელის შემცირებას 8 წლით თავისუფლების აღკვეთამდე, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით დანიშნული სასჯელის ერთი მესამედის - 2 წლისა და 8 თვის პირობითად ჩათვლას; ასევე - დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის ამორიცხვას, რადგან უკიდურესი გაჭირვების გამო მის ოჯახს არ აქვს ჯარიმის გადახდის შესაძლებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ სრული მოცულობით შეამოწმა საქმე, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით, მათ შორის - ამოღების ოქმითა და დაზარალებულ შ. წ-ის ჩვენებით უდავოდ დადასტურებულია, რომ ზ. უ-ემ, ზ. ი-მა, თ. ქ-ემ და გ. ა-მა დუშეთის რაიონის სოფელ ...-ში მოიპარეს შ. წ-ის კუთვნილი სამი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ამ დანაშაულის ჩადენას არც მსჯავრდებულები უარყოფენ.

პალატა არ იზიარებს ზ. უ-ის მითითებას, თითქოს, გარდა დუშეთის რაიონში ჩადენილი ქურდობისა, სხვა დანაშაული არ ჩაუდენია და არც საქმეშია რაიმე მტკიცებულება, კერძოდ:

გამომძიებელმა ლ. ლ-ემ სასამართლოს განუმარტა, რომ იძიებდა სოფელ ...-ში პირუტყვის ქურდობას. 2008 წლის 7 ივლისს დუშეთის პოლიციიდან მიიღო შეტყობინება, რომ საქონლის ქურდობის ფაქტზე დააკავეს ზ. უ-ე, ზ. ი-ი, გ. ა-ი და თ. ქ-ე. შეტყობინების თანახმად, ზ. უ-ემ და ზ. ი-მა დაკითხვისას განაცხადეს მათ მიერ სოფელ ...-ში ჩადენილი დანაშაულის შესახებაც. ისინი დეტალურად აღწერდნენ, განაწილებული როლების მიხედვით, როგორ მოიპარეს ნ. და ტ. შ-ეების კუთვნილი პირუტყვი.

ანალოგიური ჩვენება მისცა გამომძიებელმა მ. ბ-ემ.

საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულებს - ზ. ი-ს და თ. ქ-ეს არ ახსოვთ, ახლდა თუ არა მათ სოფელ ...-ში ქურდობისას ზ. უ-ე. ამ უკანასკნელის ჩვენებით, წყალტუბოს რაიონის ტერიტორიას "საერთოდ არ იცნობს", თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ წყალტუბოს რაიონში ყიდულობდა მწვანის, შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ზ. უ-ემ ასევე აღნიშნა, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკითხეს და ჩვენება გამომძიებელმა წაუკითხა, რომელსაც ენდობოდა და ოქმს ამიტომ მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია, რომ ყველა მსჯავრდებული უარყოფს მათზე რაიმე ფორმით ზემოქმედებას.

სატელეფონო საუბრების დეტალურ-წუთობრივი ნუსხით დადგენილია მსჯავრდებულთა დანაშაულის ადგილზე ყოფნა, კერძოდ, ნ. და ტ. შ-ეების პირუტყვის ქურდობის ღამეს, 3 საათსა და 52 წუთზე ფიქსირდება სატელეფონო კავშირი ზ. უ-ესა და გ. ა-ს შორის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია და უტყუარად დასტურდება საქმის მასალების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით.

პალატა ვერ გაიზიარებს თ. ქ-ის დამცველის მოტივს ავტომანქანის მესაკუთრისათვის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რადგან ჩამორთმევას ექვემდებარება დანაშაულის საგანი იმ შემთხვევაშიც, თუ მას პირი მართლზომიერად ფლობს.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენით არასწორად გადაწყდა სამოქალაქო სარჩელების საკითხი, კერძოდ, დაზარალებულმა შ. წ-მა მიუთითა, რომ მოჰპარეს 3200 ლარის ღირებულების პირუტყვი. მისივე განმარტებით, მოპარული საქონლის ხორცი დაუბრუნდა, რაც 500 ლარად გაყიდა. ამის თაობაზე ზ. უ-ე თავის სააპელაციო საჩივარშიც ამახვილებდა ყურადღებას.

გარდა ამისა, დაზარალებულმა ნ. შ-ემ უარი განაცხადა სამოქალაქო სარჩელზე გ. ა-ის მიმართ და ქონებრივი ზიანის -1350 ლარის ანაზღაურება მოითხოვა სხვა მსჯავრდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლის შესაბამისად, ზ. უ-ეს, ზ. ი-ს და თ. ქ-ეს უნდა დაკისრებოდათ მიყენებული ზიანის ანაზღაურება გ. ა-ის წილის -337,5 ლარის გამოკლებით.

გასაჩივრებელია ზ. უ-ის საჩივრის მოტივი დაზარალებულ შ. წ-ის პირუტყვის ქურდობისათვის დანიშნულ სასჯელთან დაკავშირებით, კერძოდ: პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით (რაც უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით) დადგენილია, რომ მსჯავრდებულებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნიათ. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა თანაამსრულებლობა, რა დროსაც სასჯელის დანიშვნისას, სსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხედველობაში მიიღება დანაშაულში პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე. აღნიშნული კრიტერიუმებით, შ. წ-ის საქონლის ქურდობისას ზ. უ-ის ქმედება და მისი პიროვნების მახასიათებელი გარემოებები არ განსხვავდება სხვა მსჯავრდებულთა ქმედებისაგან და პიროვნების მახასიათებელი გარემოებებისაგან. ასეთ ვითარებაში, სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით, ზ. უ-ისათვის მნიშვნელოვნად მკაცრი სასჯელის დანიშვნა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს და უნდა შემსუბუქდეს.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენი უნდა დაზუსტდეს ნივთმტკიცებების ნაწილში, კერძოდ, სატელეფონო საუბრების დეტალური ინფორმაციის ამსახველი მასალების ნაწილი გამომძიებლის დადგენილებით ერთვის გამოყოფილ საქმეს, ხოლო განსახილველ საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი მასალები უნდა ინახებოდეს ამ საქმესთან ერთად. ავტომანქანის საბურავის კვალი, რომლის საკითხი არ გადაწყვეტილა, უნდა დაერთოს დაუდგენელი პირების მიმართ გამოყოფილ, #069080439 საქმეს.

ზ. უ-ესა და ზ. ი-ს წინა განაჩენით მიესაჯათ 3-3 წლით, ხოლო გ. ა-ს -6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოთ 2008 წლის 17 ივლისიდან. თ. ქ-ეს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და მისი მოხდა დაეწყო 2008 წლის 30 ივლისიდან. ამდენად, ზ. უ-ეს, ზ. ი-ს და გ. ა-ს ბოლო განაჩენის გამოტანის დღეს -2009 წლის 2 აპრილს მოხდილი ჰქონდათ 8 თვე და 16 დღე, ხოლო თ. ქ-ეს -8 თვე და 3 დღე. შესაბამისად, ზ. უ-ისა და ზ. ი-ისათვის ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს უნდა დაემატოს მოუხდელი სასჯელი -2 წელი, 3 თვე და 14 დღე, გ. ა-ს -5 წელი, 3 თვე და 14 დღე, ხოლო თ. ქ-ეს -4 წელი, 3 თვე და 27 დღე, ნაცვლად გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული 2 წლის, 3 თვის და 15 დღის, 5 წლის, 3 თვის, 15 დღის და 4 წლის, 3 თვის და 28 დღისა.

გარდა ზ. უ-ისა, სხვა მსჯავრდებულთათვის დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელები უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან შეესაბამება მათ პიროვნებას, ჩადენილი ქმედებების სიმძიმეს და სამართლიანია. ამასთან, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. უ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თ. ქ-ისა და ზ. ი-ის ადვოკატების -ი. მ-ასა და ი. შ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 აგვისტოს განაჩენი შეიცვალოს: ზ. უ-ეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2008 წლის 7 ივლისის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი -6 წლით თავისუფლების აღკვეთა შემცირდეს 1 წლით და ამ მუხლით მიესაჯოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ზ. უ-ეს საბოლოოდ განესაზღვროს 14 წლით, 3 თვით, 14 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -4 000 ლარი;

ზ. ი-ს საბოლოოდ მიესაჯოს 12 წლით, 3 თვით, 14 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -4 000 ლარი;

გ. ა-ს საბოლოოდ განესაზღვროს 15 წლით, 3 თვით, 14 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -4 000 ლარი;

თ. ქ-ეს საბოლოოდ განესაზღვროს 14 წლით, 3 თვით, 27 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -4 000 ლარი;

ზ. უ-ეს, ზ. ი-ს, თ. ქ-ესა და გ. ა-ს დაზარალებულ შ. წ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 2 700 ლარის გადახდა;

გ. ა-ის მიმართ დაზარალებულ ნ. შ-ის სამოქალაქო სარჩელის გამო წარმოება შეწყდეს;

ზ. უ-ეს, ზ. ი-სა და თ. ქ-ეს სოლიდარულად დაეკისროთ ნ. შ-ის სასარგებლოდ 1 012 ლარის გადახდა;

მოცემულ საქმეზე ნივთმტკიცებად დართული სატელეფონო საუბრების დეტალური ინფორმაციის ამსახველი მასალები ინახებოდეს ამ საქმესთან ერთად, ხოლო ავტომანქანის საბურავის კვალი - დაერთოს დაუდგენელი პირების მიმართ გამოყოფილ #069080439 საქმეს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯარიმის დაკისრება არასრულწლოვანის მშობლებისათვის

განჩინება

#92-აპ-10

29 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- ვ. როინიშვილი,
- დ. სულაქველიძე

ზუბირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით ო. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა -1000 ლარის ოდენობით.

ო. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა -გაუქმდა და ვინაიდან არასრულწლოვანი გადახდისუუნაროა, ჯარიმის გადახდა სოლიდარულად დაეკისრათ მის მშობლებს -მ. მ-სა და დ. მ-ს.

განაჩენით მსჯავრდებულ ო. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

1992 წლის 28 მარტს დაბადებულმა ო. მ-მ 2009 წლის 8 ივნისს თბილისში, ... ქ.#10-ში მდებარე დ. ყ-ს სახელობის სკოლა-კოლეჯში, მუცლის არეში მიიყენა თვითდაზიანება თანნაქონი პატარა ზომის გასაშლელი დანით, რის შემდეგაც იგი გადაიყვანეს ნ. ყ-ს სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში, ხოლო დანა, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, ამოიღეს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა.

საქმეზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #4398/31 დასკვნით ო. მ-ს მუცლის არეში მიყენებული აქვს ჭრილობა რაიმე მჭრელი საგნის მოქმედებით და იგი მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად.

ტრასოლოგიური ექსპერტიზის #174/ცი დასკვნით დანა, რომლითაც ო. მ-მ მიიყენა დაზიანება მუცლის არეში და რომელიც ამოიღეს მისგან, მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ო. მ-ს მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის ნაც-

ვლად აღმზრდელობითი მოქმედების იმულებითი ღონისძიების, კერძოდ –გაფრთხილების, მშობლებისათვის საზედამხედველოდ გადაცემის დანიშვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ამოღების ოქმით ო. მ-ს მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება ო. მ-ს მიმართ დანიშნულ სასჯელს, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული ო. მ-ე აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, არის არასრულწლოვანი, ხასიათდება დადებითად, ავადმყოფია, პირველადაა სამართალში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შესაძლებელია მის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ ო. მ-ს საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი –ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით –შემცირდეს და საბოლოოდ განესაზღვროს ჯარიმა –500 ლარის ოდენობით. ჯარიმის გადახდა, ვინაიდან არასრულწლოვანი გადახდისუუნაროა, სოლიდარულად დაეკისროთ მის მშობლებს –მ. მ-სა და დ. მ-ს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შემსუბუქება

განჩინება

#867-აპ-09

27 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ვ. როინიშვილი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის განაჩენით გ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი –3 წელი, 11 თვე, 27 დღე და გ. ჯ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად

განესაზღვრა 7 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 18 მარტიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 17 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით შეეცვალა 4 წლით პირობით გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა -2000 ლარის ოდენობით.

2009 წლის 18 მარტს, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეოთხე განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლები ვ. ძ-ი და ი. მ-ი ამ უკანასკნელის კუთვნილი ავტომანქანით ქ. ქუთაისში, ... ქუჩის ქვედა ზონაში ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას. იმავე დღეს, დაახლოებით 1 საათზე, ... ქუჩაზე მდებარე რესტორან „...-ში“ მოპირდაპირე მხარეს არსებულ საცხოვრებელ კორპუსებთან მათ შენიშნეს სამი პირი. მათგან ერთ-ერთი, რომელიც შემდგომ აღმოჩნდა გ. ჯ-ი, უმისამართოდ ხმამაღლა იგინებოდა, რითაც არღვევდა მოქალაქეთა მყუდროებას. მათთან მიახლოებისას სამსახურებრივ უნიფორმაში მყოფი ინსპექტორ-გამომძიებლები ვ. ძ-ი და ი. მ-ი წარუდგინეს პოლიციის თანამშრომლებად და გ. ჯ-ს მისცეს შენიშვნა. ამასთან, მოუწოდეს შეეწყვიტათ გინება. გ. ჯ-მ, ნაცვლად იმისა, რომ დამორჩილებოდა პოლიციელების კანონიერ მოთხოვნას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლისა და მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, დედა და ახლობლები შეაგინა ვ. ძ-ს, რის შემდეგაც მისი დაკავებისას კისრის არეში ხელი დაარტყა მას, რითაც მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის გარეშე და იმავდროულად დაუზიანა პოლიციელის ქურთუკი. გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, გ. ჯ-ი დააკავეს, ხოლო მისი თანმხლები პირები იქაურობას გაეცალნენ.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად

მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ჩ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას დაარღვია საპროცესო ნორმები; საერთოდ არ განხილულა მსჯავრდებულის განცხადება აღიარებასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ გ. ჯ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ ვ. ძ-ს ჩვენებით, მოწმეების -ი. მ-ს, ა. შ-ს, დ. ხ-ს, ზ. ტ-ს ჩვენებებით, დაკავების, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ექსპერტიზების დასკვნებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენით სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მსჯავრდებულ გ. ჯ-ს მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

რაც შეეხება გ. ჯ-ს მიმართ დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი უნდა შემსუბუქდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის -ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას.

მსჯავრდებულმა გ. ჯ-მ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული; საქმის მასალების მიხედვით, იგი არის მრავალსულიანი ოჯახიდან, რომელიც შედგება 7 სულისგან; ოჯახი განიცდის მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას. მსჯავრდებული გ. ჯ-ი არის სპორტსმენი, საქმეში არსებული დიპლომის თანახმად, მას ქართულ საბრძოლო ხელოვნებაში -საბრძოლო ჭიდაობაში მიენიჭა მე-2 ადგილი.

ამასთან, საქმეში წარმოდგენილია მსჯავრდებულ გ. ჯ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის განცხადება, რომლითაც გ. ჯ-ი თავს ცნობს დამნაშავედ და აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ გ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა -შემუცირდეს 1 წლით და მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -3 წელი, 11 თვე და 27 დღე და გ. ჯ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 6 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების წესი

განჩინება

#902-აპ-09

14 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყემელაშვილი

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ყ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ყ-ე ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე -ორ ეპიზოდში, რის გამოც მას ქურდობის თითოეული ეპიზოდისათვის სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენით ბ. ყ-ს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით (ორი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 13 აპრილს, ღამის საათებში, დაახლოებით 23 საათსა და 55 წუთზე, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ბ. ყ-მ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. მან ხელყოფის ობიექტად შეარჩია მოქალაქე დ. ც-ის კუთვნილი, ინდუსტრიული "ყვინჩილას" სასურსათო მაღაზია. ბ. ყ-მ თანაქონი ლითონის საგნის გამოყენებით, ბოქლომის გატეხვით, უკანონოდ შეაღწია დასახელებულ სასურსათო ჯიხურში, სადაც ფარულად დაეუფლა დ. ც-ის კუთვნილ თანხას -5 ლარს; 16 ლარად ღირებულ 8 კოლოფ სიგარეტ "ვინსტონს" 12 ლარად ღირებულ 12 კოლოფ სიგარეტ "პირველსა" და 15 ლარად ღირებულ 10 კოლოფ სიგარეტ "ლმ-ს". ბ. ყ-მ ისინი მოათავსა იქვე, მაღაზიაში არსებულ ცელოფნის პაკეტში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რითაც საერთო ჯამში დაზარალებულს მიაყენა 49 ლარის მატერიალური ზიანი.

იმავე ღამეს, 2009 წლის 14 აპრილს, დაახლოებით 2.00 საათზე, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ბ. ყ-მ, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა სხვის მოძრავ მატერიალურ ფასეულობებს. ამჯერად ბ. ყ-მ ხელყოფის ობიექტად შეარჩია მოქალაქე ვ. პ-ის კუთვნილი სასურსათო ჯიხური, სახელწოდებით "მძლოლი ბიჭები". მან საამი-

სოდ ... ქუჩის #...-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში იპოვა ავტომანქანის ძრავას ხელით გამშვები, ე.წ. ლითონის "რუჩკა", შემდეგ მივიდა ზემოხსენებულ ჯიხურთან და თანაქონი მომარჯვებული საგნის -ლითონის "რუჩკის" გამოყენებით დააზიანა ჯიხურის ბოქლომი და ამ გზით უკანონოდ შეაღწია დასახლებულ სასურსათო ჯიხურში, სადაც ფარულად დაეუფლა თანხას -50 ლარს, 4 ლარად ღირებულ 2 კოლოფ სიგარეტ "ვინსტონს"; 15 ლარად ღირებულ 6 კოლოფ სიგარეტ "ქემელსა" და 1 ლარად ღირებულ სანთებელას. ბ. ყ-მ უკანონოდ დაუფლებული ნივთები მოათავსა ვ. პ-ის მაღაზიაში არსებულ ცელოფნის პაკეტში და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა, რითაც დაზარალებულს მიაყენა 70 ლარის მატერიალური ზიანი. 2009 წლის 14 აპრილს, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ქ. ტყიბულში, დააკავეს ბ. ყ-ე, რა დროსაც მისგან ამოღებულ იქნა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ქონების ნაწილი და იგი ამხილეს დანაშაულის ჩადენაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. ყ-მ და მისმა დამცველმა ი. ნ-მ, რომლებიც ითხოვდნენ მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობითი მსჯავრის გამოყენებას შემდეგი მოტივების საფუძველზე: ბ. ყ-მ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული; ის აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, არ არის წარსულში ნასამართლევ; დაზარალებულებს მის მიმართ არ გააჩნიათ რაიმე პრეტენზია, ხოლო მისი ოჯახი მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტთა მოთხოვნა, ხოლო ტყიბულის რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ბ. ყ-ს მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. ყ-მ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ი. ნ-მ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები იმავე მოტივებით, რაზეც მათ მითითებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივარში, ითხოვენ მსჯავრდებულის მიმართ, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის სახით სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. ყ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატის აზრით, ბ. ყ-სათვის განაჩენით შერაცხული ბრალდება სრულად არის დადასტურებულ საქმეში არსებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც არც დაცვის მხარე ხდის სადავოდ.

რაც შეეხება კასატორთა მოთხოვნას მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების თაობაზე, ვერ იქნება მიჩნეული დასაბუთებულად, რადგან მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ის პირობები, რაც აუცილებელია აღნიშნული სისხლისსამართლებრივი ნორმის გამოყენებისათვის. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ბ. ყ-ე დანაშაულის ჩადენის შემდეგ მალევე დააკავეს.

ამავე დროს საკასაციო პალატა თვლის, რომ ჩადენილ ქმედებათა სიმძიმის, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ბ. ყ-მ გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, იგი პირველად არის სამართალში და სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა, ამასთან, დაზარალებულებს მთლიანად აუნაზღაურა თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი, შესაძლებელია მის მიმართ სასჯელთა სრული შეკრების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2010 წლის 23 თებერვლის რედაქცია) ¹ ნაწილით დადგენილი სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების წესი. კერძოდ, 2009 წლის 14 აპრილს ჩადენილი ქურდობისათვის (დაზარალებულ ვ. პ-ის საკუთრების ხელყოფის ეპიზოდი) სასამართლოს მიერ ბ. ყ-სათვის დანიშნული სასჯელის -3 წლით თავისუფლების აღკვეთის -ნახევარი, თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, უნდა დაემატოს 2009 წლის 13 აპრილს ჩადენილი ქურდობისათვის (დაზარალებულ დ. ც-ის საკუთრების ხელყოფის ეპიზოდი) სასამართლოს მიერ ბ. ყ-სათვის დანიშნულ სასჯელს -3 წლით თავისუფლების აღკვეთას და მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რისთვისაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ბ. ყ-ის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ყ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ბ. ყ-ს მის მიერ 2009 წლის 14 აპრილს ჩადენილი ქურდობისათვის განაჩენით დანიშნული სასჯელის -3 წლით თავისუფლების აღკვეთის -ნახევარი, თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, დაემატოს 2009 წლის 13 აპრილს მის მიერ ჩადენილი ქურდობისათვის იმავე განაჩენით დანიშნულ სასჯელს -3 წლით თავისუფლების აღკვეთას, რის გამოც მსჯავრდებულ ბ. ყ-ს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის მოხდის ათვლა მას დაეწყოს 2009 წლის 14 აპრილის 16 საათიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების წესი

განჩინება

#941-აპ-09

28 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 მაისის განაჩენით მ. მ-ი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე -ოთხ ეპიზოდში (2008 წლის 6 სექტემბრის, 2008 წლის 10 სექტემბრის, 2008 წლის 18 სექტემბრისა და 2008 წლის 20 სექტემბრის ეპიზოდები) და საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე -ერთ ეპიზოდში (2008 წლის 24 სექტემბრის ეპიზოდი), რის გამოც მას თითოეულ ეპიზოდში ძირითადი სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, დამატებით სასჯელად კი განესაზღვრა ჯარიმა -3000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) პირველი ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის წესით, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მ. მ-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით და ჯარიმა -15000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განაჩენით დანაშაულის იმავე ეპიზოდებში მონაწილეობისათვის მსჯავრდებულ იქნენ: დ. მ-ი და გ. მ-ი -საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე -ხეიმოთ მითითებულ ოთხ ეპიზოდში, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე -ერთ ეპიზოდში; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) პირველი ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის წესით; საბოლოოდ თითოეულ მათგანს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 23 წლისა და 9 თვის ვადით, ასევე ჯარიმა -15000 ათასი ლარი.

განაჩენის მიხედვით, მ. მ-ის, დ. მ-ისა და გ. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 1 მარტს მ. მ-ი გაასამართლა თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ" და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტებით, რის გამოც მას სასჯელად შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2008 წლის სექტემბერში მ. მ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძმებ გ. და დ. მ-ებს. 2008 წლის 6 სექტემბერს, დაახლოებით 3 საათზე, ავტომანქანით, რომელსაც მართავდა დ. მ., "მაზდით" ისინი მივიდნენ გარდაბნის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ფ. კ-ის მაღაზიასთან. მათ ავტომანქანა გააჩერეს მაღაზიის მახლობლად და გისოსების ჩატეხვით უკანონოდ შეაღწიეს მაღაზიის შენობაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ კვების სხვადასხვა პროდუქტს: სიგარეტს, ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებს, ძეხვს, ზეთს, შოკოლადსა და მონობარათებს, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 970 ლარი და 15 თეთრი.

ასევე, 2008 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 3 საათზე, იმავე ავტომანქანით გ. მ-ი, დ. მ-ი და მ. მ-ი მივიდნენ გარდაბნის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ზ. მ-ის შერეული მაღაზიის შენობასთან, სადაც ბოქლომის გატეხვით შეაღწიეს მაღაზიის შენობაში და დაეუფლნენ სხვადასხვა დასახელების მოძრავ ნივთებს: სიგარეტებს, არაყს, კონიაკს, გამაგრებულ სასმელებს, საჭმელ ზეთს, ყავას, სხვადასხვა დასახელების საქონლის ხორცის კონსერვებს, რძის ნაწარმს, კეტჩუპს, პამპერსებს, კანფეტებს, საპარსებს, ბუშტებს, შოკოლადის ნაკრებს, ფენს, "მადონას" თევზებსა და ჭიქებს, სოსისს, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 3121 ლარი. დატაცებული პროდუქტები მათ ავტომანქანით გადაიტანეს თბილისში და მეორე დღეს ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიაზე მიჰყიდეს ძიებით დაუდგენელ პირს, ხოლო აღებული თანხა ერთმანეთში გაინაწილეს.

2008 წლის 18 სექტემბერს, დაახლოებით 3 საათზე, დ. მ-ი და მ. მ-ი, ავტომანქანით, რომელსაც მართავდა გ. მ., "მაზდა" მივიდნენ სოფელ ...-ში მდებარე ნ. ს-ის კუთვნილ მაღაზიასთან. მათ მაღაზიის მახლობლად გააჩერეს ავტომანქანა, ხოლო თან წადებული რკინის საჭრელი მკრატლით გაჭრეს მაღაზიის კარის ჩამოსაკიდი ბოქლომი და შეაღწიეს შიგნით, სადაც ფარულად დაეუფლნენ კვების პროდუქტებს, კერძოდ: შოკოლადის ნაკრებს, საჭმელ ზეთს, კანფეტებს, არაყს, ლუდს, გამაგრებულ სასმელებს, ძეხვს, ჰიგიენურ პაკეტებს, საქონლის ხორცის კონსერვებს, თევზის კონსერვებს, "ლაი-ლაი" და "მონობარათებსა" და შაქრის ფხვნილს, რითაც ზარალმა შეადგინა 2605,50 ლარი. დატაცებული პროდუქტები მათ ავტომანქანით გადაიტანეს თბილისში და მეორე დღეს ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიაზე მიჰყიდეს ძიებით დაუდგენელ პირს, აღებული თანხა კი ურთიერთშორის გაინაწილეს.

2008 წლის 20 სექტემბერს, დაახლოებით 3 საათზე, დ. მ-ი მ. მ-თან ერთად, გ. მ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა "მაზდით", რომელსაც მართავდა გ. მ., მივიდნენ სოფელ ...-ში მდებარე მ. მ-ის კუთვნილ მაღაზიასთან. მათ მაღაზიის მახლობლად გააჩერეს ავტომანქანა, თან წადებული რკინის საჭრელი მკრატლით გაჭრეს მაღაზიის კარის ჩამოსაკიდი ბოქლომი და შეაღწიეს შიგნით, სადაც ფარულად დაეუფლნენ კვების პროდუქტებს, კერძოდ: ლუდს, ქათმის ბარკლებს, შამპანურ "ბახტრიონს", კონიაკ "თბილისს", არაყ "უშბას", შებოლილ ხორცს, ძეხვს, ქათმის ხორცს, მარგარინს, შოკოლადის ნაკრებს, კანფეტებს, ნამცხვრებს, საჭმელ ზეთს, ყავის ფინჯნებს, სანაყინე ნაკრებს, ზეთის ხილს, კონსერვებს, მონობარათებს, რითაც ზარალმა შეადგინა 977,25 ლარი. დატაცებული პროდუქტები მათ ავტომანქანით გადაიტანეს თბილისში, რომელთა ნაწილი მ. მ-მა მიჰყიდა თავის მეზობელ ქალს, ნაწილი თვითონ მოიხმარეს, დარჩენილი ნაწილი კი ძიებით დაუდგენელ პირს მიჰყიდეს, ხოლო თანხა გაინაწილეს.

2008 წლის 24 სექტემბერს დ. მ-ი მ. მ-თან ერთად ავტომანქანა "მაზდით", რომელსაც მართავდა დ. მ., მივიდნენ სოფელ ...-ში მდებარე მ. ჭ-ის კუთვნილ მაღაზიასთან. მათ მაღაზიის მახლობლად გააჩერეს ავტომანქანა და იქ უკანონოდ შეღწევისა და შიგნით არსებული ქონების ფარულად დაუფლების მიზნით, მაღაზიის ფანჯრის რკინის გისოსებს დაუწყეს ამოღება. ამ დროს ისინი შეამჩნია მაღაზიის დარაჯმა ვ. ჯ-მა, რის გამოც მ. მ-ი, დ. მ-ი და გ. მ-ი შეეცადნენ შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, მაგრამ ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა -მ. მ-მა, დ. მ-მა და გ. მ-მა, რომლებიც თავიანთი საჩივრებით ითხოვდნენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულმა მ. მ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შეცვალეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განაჩენით დამტკიცდა დ. და გ. მ-ებსა, მათ ადვოკატსა და სახელმწიფო ბრალმდე-

ბელს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, რის შედეგადაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 55-ე მუხლის, 59-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია), აგრეთვე 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის (ოთხი ეპიზოდი), ასევე, საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის (ერთი ეპიზოდი) საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა -თითოეულს 10 წლის ვადით, აქედან 7 წლის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 3 წელი ჩათვალათ პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მათვე დამატებით სასჯელად განესაზღვრათ ჯარიმა -თითოეულს 5000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მ. მ-ის მსჯავრდების ნაწილში შეიცვალა ნაწილობრივ, კერძოდ: მის მიერ ჩადენილი ქმედება ზემოხსენებული ქურდობის ოთხ ეპიზოდში დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით და თითოეულ ეპიზოდში მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ერთ ეპიზოდში -საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. ამასთან, იმავე განაჩენით მსჯავრდებულ მ. მ-ს აღარ დაენიშნა დამატებითი სასჯელი -ჯარიმა, ხოლო, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მ. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით, რომლის მოხდის ათვლა მას დაეწყო დაკავების დღიდან -2008 წლის 24 სექტემბრიდან.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. მ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. იგი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენით მისთვის განსაზღვრული სასჯელის შემსუბუქებას შემდეგი მოტივებით: კასატორი მიუთითებს, რომ ის სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა, ჰყავს ინვალიდი (უსინათლო) ძმა და პენსიონერი დედა; მან გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ამასთან, თვითონ ავადმყოფია, ხოლო ოჯახს მის გარდა სხვა მარჩენალი არ ჰყავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ მ. მ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. მ-ის მიმართ განაჩენით შერაცხული ქმედების ნაწილში ბრალდება სავსებით დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით, რის გამოც აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციის თაობაზე სასამართლოს დასკვნა უნდა ჩაითვალოს დასაბუთებულად და ამ ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობის იმ შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებზეც მიუთითებს მსჯავრდებულ მ. მ-ი თავის საკასაციო საჩივარში, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით, რომ მას აღნიშნული ქონებრივი დანაშაულისაკენ გარკვეულწილად უბიძგა მიმე ოჯახურმა მდგომარეობამ და ამჟამად იგი გამოხატავს სწრაფვას გამოსწორებისაკენ, სასჯელთა სრული შეკრების წესით მისთვის განსაზღვრული სასჯელი -20 წლით თავისუფლების აღკვეთა -არის ზედმეტად მკაცრი და შეუსაბამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, რომ მსჯავრდებულ მ. მ-ის მიმართ სასჯელთა სრული შეკრების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს დანაშაულთა ერთობლიობის დროს დანიშნული სასჯელების ნაწილობრივი შეკრების წესი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2010 წლის 23 თებერვლის რედაქცია) ¹ ნაწილით. შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ მ. მ-ის მიმართ 2008 წლის 6 სექტემბრის ქურდობის ეპიზოდისათვის დანიშნულ სასჯელს -4 წლით თავისუფლების აღკვეთას -უნდა დაემატოს ქურდობის სხვა, ოთხი ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების ნახევარი -ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა თითოეული ეპიზოდისათვის -სულ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რის შედეგადაც მსჯავრდებულ მ. მ-ს სასჯელის საბოლოო ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, რომლის მოხდის ვადის ათვლა მას უნდა დაეწყოს დაკავების დღიდან -2008 წლის 24 სექტემბრიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ მ. მ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ქურდობის 2008 წლის 6 სექტემბრის ეპიზოდისათვის დანიშნულ სასჯელს -4 წლით თავისუფლების აღკვეთას -დაემატოს ქურდობის სხვა, ოთხი ეპიზოდისათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დანიშნული სასჯელების -თითოეულ ეპიზოდში 4 წლით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი, ესე იგი სულ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2010 წლის 23 თებერვლის რედაქცია) 1¹ ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. მ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, რომლის მოხდის ათვლა მას დაეწეოს დაკავების დღიდან -2008 წლის 24 სექტემბრიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა

განჩინება

#295-აპ-10

16 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ვ. ც-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენით ვ. ც-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

ვ. ც-ის სასჯელის მოხდის ათვლა დაეწეო 2009 წლის 15 მაისიდან.

ვ. ც-ის განაჩენით მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის:

2009 წლის 26 იანვარს, დაახლოებით 23.00 საათზე, ვ. ც-ია გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად იმყოფებოდა ქ. ქუთაისში, ... ქუჩის მე-4 შესახვევის #15ა-ში მცხოვრებ ბ. ს-ას საცხოვრებელ ბინაში, სადაც ასევე სტუმრად იმყოფებოდნენ ა. ბ-შვილი და მ. დ-ძე. ბინაში ყოფნისას ვ. ც-იასა და მ. დ-ძეს შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რის შემდეგაც ვ. ც-იამ ორ თანმხლებ პირთან ერთად განიზრახა, მ. დ-ძისათვის მიეყენებინა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ვ. ც-იამ თანმხლები პირების დახმარებითა და ძალადობის გამოყენებით აღნიშნული საცხოვრებელი ბინიდან მ. დ-ძე გამოიყვანა ქუჩაში. ვ. ც-იამ გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად ქ. ქუთაისში, ... ქუჩის IV შესახვევში, ყოველგვარი საფუძვლიანი მოტივისა და რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე, დაზარალებულ მ. დ-ძეს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც დაირღვა იქვე მცხოვრები პირების სიმშვიდე, რითაც ვ. ც-იამ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ვ. ც-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა -გ. დ-შვილმა და ე. დ-ანმა, რომლებმაც მოითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი ვ. ც-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ც-იამ.

კასატორმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამართლება იმ მოტივით, რომ შერაცხული დანაშაული მას არ ჩაუდენია, ასევე, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მის მონაწილეობას ამ დანაშაულში, გარდა დაზარალებულის ჩვენებისა, რაც არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ვ. ც-იამ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ლ. ქ-შვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განაჩენის ძალაში დატოვების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ ვ. ც-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენის შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულ მ. დ-მის ჩვენებით, საქმეზე ჩატარებული ტრასოლოგიური ექსპერტიზის 2009 წლის 4 თებერვლის #19/ტრ დასკვნით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით ვ. ც-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამავე დროს საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი ხასიათდება დადებითად და მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ვ. ც-ის მიმართ ამ დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი და მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ამ ქმედების შედეგების, აგრეთვე, მისი პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ვ. ც-ის ძირითადი სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა -10 000 ლარი.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ვ. ც-ია 2009 წლის 15 მაისიდან იმყოფება პატიმრობაში, საკასაციო პალატას შესაძლებლად მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე იგი მთლიანად გათავისუფლდეს დაკისრებული ჯარიმის მოხდისაგან, რის შედეგადაც ვ. ც-ია უნდა ჩაითვალოს სასჯელმოხდელად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის V ნაწილით, სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. ც-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ ვ. ც-ის სასიკეთოდ, კერძოდ:

ვ. ც-ის საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა -10.000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, ვ. ც-ია მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

ვ. ც-ია დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.
განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა

განჩინება

#294-აპ-10

23 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-შვილის საკავშირეო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით დ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით;

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა -3000 ლარი.

დ. ა-შვილს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2009 წლის 9 ივლისიდან.

დ. ა-შვილს განაჩენით მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის:

2008 წლის სექტემბერში ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #15/1-ში მცხოვრებმა გ. დ-შვილმა საცხოვრებელი ბინის, ავეჯის, სხვა ნივთებისა და ოქროს ნაკეთობების დაგირავებით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალისაგან" კრედიტის სახით მიიღო 4000 აშშ დოლარი, ყოველთვიურად 313 აშშ დოლარის ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდის პირობით. აღნიშნული კრედიტის გამოტანის ინიციატორი იმავდროულად იყო გ. დ-შვილის ნაცნობი, მსჯავრდებული დ. ა-შვილი, რომელმაც მიღებული თანხის ნახევარი წაიღო პირადი მოხმარებისათვის. ისინი შეთანხმდნენ, რომ ძირითადი და საპროცენტო თანხის განაკვეთი უნდა გადაეხადათ წილობრივი პრინციპით. სესხის უზრუნველსაყოფად მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში დაგირავებულ ოქროს ნაკეთობათა ნაწილი გ. დ-შვილს გადასცა დ. ა-შვილმა. იმის გამო, რომ დ. ა-შვილმა არ გადაიხადა სავალდებულო გადასახადი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, თანხის დაფარვის უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა დაგირავებულ ოქროს ნაკეთობათა რეალიზება. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ის ოქროს ნივთები, რომლებიც დ. ა-შვილმა გ. დ-შვილს გადასცა, არ წარმოადგენდა ოქროს ნაკეთობებს და დამზადებული იყო სხვადასხვა ლითონის შენადნობისაგან. დ. ა-შვილის მიერ გადაცემული ოქროს ნივთები გ. დ-შვილმა, ასევე თაღლითურად, გ. ს-ძის დახმარებით, ჩააბარა ქ. ქუთაისის სხვადასხვა ლომბარდში. დ. ა-შვილის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულ გ. დ-შვილს მიაყენა 3800 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. ა-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. შ-იამ, რომელმაც მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

გასაჩივრებულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განაჩენით ცვლილება იქნა შეტანილი, კერძოდ, განაჩენი დ. ა-შვილის მიმართ კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში დარჩა უცვლელად, ხოლო

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ნივთების ბედი გადაწყდა საქართველოს სსკ-ის 509-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. ა-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. გ-შვილმა.

კასატორმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ნ. გ-შვილმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა პალატის წინაშე მსჯავრდებულის მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტა, უდანაშაულობის მოტივით ან განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

მსჯავრდებულმა დ. ა-შვილმა მხარი დაუჭირა ადვოკატის პოზიციას.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა არჩილ სიკიაშვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მსჯავრდებულ დ. ა-შვილის მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განაჩენის ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ დ. ა-შვილის მიმართ საქმის დაბრუნებას ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულ გ. დ-შვილის ჩვენებებით, მოწმეების: ნ. კ-შვილისა და ს. დ-შვილის ჩვენებებით, საქმეზე ჩატარებული 2009 წლის 28 იანვრის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის #254-რან/113 დასკვნით, 2009 წლის 11 მარტის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის #487-რან/267 დასკვნით, ბრალდებულის დაკავების ოქმით, ამოღებისა და ჩხრეკის ოქმებით, ინდივიდუალური მეწარმის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობებითა და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით დ. ა-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამავე დროს საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი ხასიათდება დადებითად, პირველადია სამართალში და მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებული დანაშაულის ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ დ. ა-შვილის მიმართ ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რის გამოც პალატას მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ამ ქმედების შედეგების, აგრეთვე მისი პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით, მსჯავრდებულ დ. ა-შვილს ძირითადი სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა - 10 000 ლარი.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ დ. ა-შვილი 2009 წლის 9 ივლისიდან იმყოფება პატიმრობაში, საკასაციო პალატას შესაძლებლად მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე იგი მთლიანად გათავისუფლდეს დაკისრებული ჯარიმის მოხდისაგან, რის შედეგადაც დ. ა-შვილი უნდა ჩაითვალოს სასჯელმოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის V ნაწილით, სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ დ. ა-შვილის სასიკეთოდ, კერძოდ:

დ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა -10.000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, დ. ა-შვილი მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

დ. ა-შვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების წესი

განჩინება

#496-აპ-10

29 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბრის განაჩენით გ. გ-ძე ამჟამად პატიმარი, -ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ. გ-ძეს სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით, რასაც იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონით შეუმცირდა 6 თვემდე და საბოლოოდ გ. გ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის შესაბამისად, გ. გ-ძეს 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები;

მსჯავრდებულ გ. გ-ძეს სასჯელის ათვლა დაეწყო 2009 წლის 2 ნოემბრიდან.

განაჩენით გ. გ-ძეს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

გ. გ-ძე იყო რა მსჯავრდადებული სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მან პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ხასიათის

დანაშაული, კერძოდ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 7,57 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მარიხუანა", რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა ამბროლაურის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში. მითითებული ნარკოტიკული საშუალება 2009 წლის 2 ნოემბერს ამოღებულ იქნა მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის დროს. იმავე დღეს ექვმიტანილის სახით დაკავებული გ. გ-მე ნარკოტიკულ თრობაზე შესამოწმებლად გადაიყვანეს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქუთაისის განყოფილებაში, სადაც #3434256 დასკვნის თანახმად, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად, მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება "ტეტრაპიდროკანაბინოლის" (მარიხუანას) მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. გ-მემ, რომელმაც ითხოვა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით -სასჯელის მინიმუმის დანიშვნა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. გ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. გ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან ითხოვა განაჩენის ნაწილობრივ გაუქმება და გ. გ-მის მიმართ შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულის ჩვენებით, ჩხრეკის ოქმით, 2009 წლის 3 ნოემბრის #3434256 დასკვნით, სასამართლო ქიმიური ექსპერტიზის #374/სქ დასკვნით, მოწმეების - გ. ჯ-მისა და ზ. კ-მის ჩვენებით და სხვა მტკიცებულებებით სრულად არის დადასტურებული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე დადასტურებულია მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების პრინციპებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-მის მიმართ დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. გ-მის სასიკეთოდ, კერძოდ, დანიშნული სასჯელი მეტისმეტად მკაცრია და იგი უნდა შემსუბუქდეს, სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. გ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 აპრილის განაჩენი შეიცვალოს: გ. გ-მისათვის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტით დანიშნულ ძირითად სასჯელს -7 წლით თავისუფლების აღკვეთას -დაემატოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული ძირითადი სასჯელის -6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -3 თვე;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, გ. გ-მეს მიესაჯოს 7 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხ-

დელი ნაწილი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონით შეუმცირდა 6 თვემდე და საბოლოოდ გ. გ-მეს სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 9 თვის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.